დიდი მოცულობის ნაგავი/ ხის ნარჩენები (ბინის)

ავეჯი, დიდი ან მძიმე ნივთები დიდი მოცულობის ნაგვად ითვლება. ეს ნივთები და ძველი ხის მასალა მუნიციპალურ გადამუშავების ცენტრებში ბარდება. მიიღება თითო ოჯახზე და ექვს თვეში ერთხელ ოთხ კუბურ მეტრამდე უფასოდ. გარდა ამისა, შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ ნივთების წასაღებად სახლში მოგაკითხონ. (შეუკვეთავთ გვერდზე www.dresden.de/abfallformulare ან შეავსეთ ანკეტა). ეს ფასიანი მომსახურება მოიცავს ოთხ კუბურ მეტრამდე ნაგავს თითო ოჯახზე და ექვს თვეში ერთხელ. დრეზდენის საშვის მფლობელებისთვის ბინაზე მოსვლა და ნაგვის წაღება წელიწადში ერთხელ უფასოა.

ძველი ელექტრო ხელსაწყოები

ძველ ელექტრო ხელსაწყოებს უფასოდ ჩააბარებთ მუნიციპალურ გადამუშავების ცენტრებში. დიდ საყოფაცხოვრებო ტექნიკას, ანუ არანაკლებ, 50 სმ კიდის სიგრძის ნივთებს, თითო ოჯახზე და ექვს თვეში ერთხელ ბინაზე მომსახურების სერვისს ჩააბარებთ (შეავსეთ სურვილი ინტერნეტში გვერდზე www.dresden.de/abfallformulare ან შეავსეთ ანკეტა). გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დიდი ელექტრო ხელსაწყოების წაღების ფასი მათ რაოდენობაზეა დამოკიდებული, თუმცა მცირე მოცულობის ელექტრო ხელსაწყოებს უფასოდ გაატანთ.

მავნე ნივთიერებები

მავნე ნივთიერებები შეიცავს გარემოსთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს და ამიტომაც მათ საფუთზე აღნიშნულია საფრთხის სიმბოლო. მავნე ნივთიერებად ითვლება, მაგალითად, საწმენდი, სადეზინფექციო საშუალებები და პესტიციდები, ფრჩხილის ლაქების მოსაშორებელი საშუალებები, ვერცხლისწყლის თერმომეტრები, ნახევრად ცარიელი აეროზოლის ქილები, თხევადი საღებავები, ბატარეები, აკუმულატორები და ძრავის და სამზარეულოს ზეთები. მუნიციპალურ გადამუშავების ცენტრებში (ლობენის და ლოშვიცის გარდა) 25 ლიტრამდე იბარებენ. ამ ნარჩენების ჩაბარება აგრეთვე შეგიძლიათ მობილურ მავნე ნივთიერებების მანქანაში, რომელიც გაზაფხულზე და შემოდგომაზე დრეზდენში დადის (ჩამოვლის თარიღებს და გაჩერებების ადგილებს იხილავთ გვერდზე www.dresden.de/schadstoffmobil). ჩაბარება უფასოა.

მწვანე ნარჩენები

მწვანე ნარჩენებად ითვლება გაკრეჭილი გაზონის, ხეების და მწვანე ღობეების ნარჩენები, სარეველა, ძველი მცენარეები, ფოთლები, მცირე რაოდენობით მიწა, აგრეთვე საშობაო ხეები. მათი ჩაბარება შეგიძლიათ მუნიციპალურ გადამუშავების ცენტრებში და გარეუბნებში მდებარე ჩაბარების პუნქტებში. ჩაბარებისთვის მოსაკრებელი უნდა გადაიხადოთ. საშობაო ხეებს უფასოდ ჩააბარებთ დეკემბრის ბოლოდან იანვრის ბოლომდე ან შობის შემდგომ ქალაქში მოწყობილ შეგროვების პუნქტებში.

ინფორმაცია და კონსულტაცია

- ტელეფონი ნარჩენების შესახებ ინფორმაციისთვის: (03 51) 4 88 96 33 (ორშ-პარ 8-12 საათებში, სამშ/ხუთშ 13-17 საათებში)
- ელფოსტა: abfallberatung@dresden.de
- www.dresden.de/abfall

გამომცემლობა

გამომცემელი
მიწის დედაქალაქი დრეზდენი

მუნიციპალური გამწვანებისა და ნარჩენების მართვის სამსახური
ნარჩენების მართვის/დასუფთავების განყოფილება
ტელეფონი (03 51) 4 88 96 33
ელ-ფოსტა abfallberatung@dresden.de

პრესის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახური
ტელეფონი (03 51) 4 88 23 90
ელ-ფოსტა presse@dresden.de

საფოსტო ყუთი 12 00 20
01001 დრეზდენი
www.dresden.de
facebook.com/stadt.dresden
instagram.com/landeshauptstadt_dresden

უწყებების ცენტრალური ტელეფონის ნომერი 115 – მოგვმართეთ შეკითხვებით

2024 წლის მარტი

კომპეტენტური ელექტრონული ხელმოწერით აღჭურვილი ელექტრონული დოკუმენტების ჩაბარება ანკეტის მეშვეობით შეგიძლიათ. გარდა ამისა, შესაძლებლობა არსებობს, რომ მიწის დედაქალაქ დრეზდენისთვის განკუთვნილი ელ-ფოსტა S/MIME-სერტიფიკატით დაშიფროთ ან DE-ელფოსტით უსაფრთხო შეტყობინებები გამოგვიგზავნოთ. დამატებით ინფორმაციას იხილავთ გვერდზე www.dresden.de/kontakt.
ეს ბროშურა მიწის დედაქალაქ დრეზდენის საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილია. იკრძალება საარჩევნო რეკლამისთვის მისი გამოყენება. თუმცა პარტიებს უფლება აქვთ, რომ ბროშურა მათ წევრებს გააცნონ.

ar bg cs de en es fa fr kat kur pl ps ro rom ru sk ti tr uk vi zh

ნარჩენების დახარისხება და გადაყრა

დახარისხებული ნარჩენების გადაყრა ხელს უწყობს მათ გადამუშავებას ან მართებულად განადგურებას. ამგვარად დავზოგავთ რესურსებს და ბუნებას. საამისოდ სხვადასხვა გზები არსებობს.

ნაგვის ურნები

დახარისხებული ნარჩენების სხვადასხვა ურნებში გადაყრა მხოლოდ ნარჩენების ურნის გამოყენებასთან შედარებით ეკონომიურია. თქვენს სახლთან შემდეგი ურნებით სარგებლობა შეგიძლიათ:

- ლურჯი ურნა: ქაღალდისთვის და მუყაოსთვის
- ორგანული ნარჩენების ურნა: ორგანული და მწვანე ნარჩენებისთვის
- ყვითელი ურნა/ყვითელი პარკი: მსუბუქი საფუთი მასალების ნარჩენებისთვის
- ნარჩენების ურნა: ნარჩენების ნაგვისთვის

გადამუშავების კონტეინერები

გადამუშავების კონტეინერები ქალაქში არაერთ ადგილზეა. ამ კონტეინერებში შუშის ცარიელ სათავსოებს გადაყრით, კონტეინერების დაახლოებით ნახევარი განკუთვნილია ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენებისთვის. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ხმაურის გამო შუშის გადაყრის უფლება მხოლოდ გარკვეულ საათებში გაქვთ.

მუნიციპალური გადამუშავების ცენტრები

მუნიციპალური გადამუშავების ცენტრები იმ ნარჩენებს იბარებენ, რომლების გადაყრაც ნაგვის ურნებში ან გადამუშავების კონტეინერებში არ შეიძლება. ამ ცენტრების მისამართებს და სამუშაო დროებს, გარდა ამისა ინფორმაციას, თუ ზუსტად რა მასალას იბარებენ, გაეცნობით გვერდზე www.dresden.de/wertstoffhof.

უფასოდ ჩააბარებთ:

- ოთხ კუბურ მეტრამდე მოცულობის, მათ შორის, ხის ნარჩენებს (ბინიდან), თითო ოჯახზე და ექვს თვეში ერთხელ
- 25 ლიტრამდე მავნე ნივთიერებებს, PUR-სამონტაჟო ქაფის ქილებს (ლობენში და ლოშვიცში არ იბარებენ)
- ბატარეებს/აკუმულატორებს
- ძველ ელექტრო-ტექნიკას, LED-/ენერგო დამზოგავ ნათურებს, ფლუორესცენტულ მილებს
- საყოფაცხოვრებო ჯართს (მანქანების ჯართს არ იბარებენ)
- პლასტმასის ნივთებს
- კომპაქტურ დისკებს/დი-ვი-დი დისკებს, ვიდეო-კასეტებს
- ქაღალდს, მუყაოს, მინის სათავსოებს
- ნახმარ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს
- ცარიელ პრინტერის კარტრიჯებს/ტონერის კარტრიჯებს
- ქუჩის ხეების ფოთლებს და ხვატრისებრა პეპლებით დაავადებულ წაბლის ხეებს
- დეკემბრის ბოლოდან იანვრის ბოლომდე საშობაო ხეებს

ღირებულების სანაცვლოდ ბარდება:

- მწვანე ნარჩენები
- მანქანის ძველი საბურავები დისკებით/ დისკების გარეშე
- ლობენში და პლაუენში ათ ლიტრამდე და ფრიდრიხშტადტში და რაიკში 500 ლიტრამდე მინერალური სამშენებლო ნარჩენები
- ცეცხლმაქრები
- თითო ოჯახზე 20-მდე საქაღალდე (ლობენში, ლოშვიცში, პლაუენში არ იბარებენ)

რა იყრება რომელ ურნაში?

ნარჩენების ურნა

- ჰიგიენური საშუალებები: პამპერსები, ბამბიანი ჩხირები, ტრუსების ლაინერები, ტამპონები, ცხვირსახოცები/ სველი პირსახოცი ქაღალდები, სველი ტუალეტის ქაღალდი
- მტვერი, მტვერსასრუტის ტომრები, ცივი ფერფლი, სიგარეტების ნარჩენები
- წამლები
- კატების ჰიგიენური ქვიშა, ძაღლების განავალი პარკში, პატარა ცხოველების განავალი მინერალური ქვიშით
- შუშის პროდუქტები, ფაიფური, კერამიკა, ბროლის/სარკის/ ფანჯრის შუშა (მცირე რაოდენობით)
- ძვლები, მათ შორის, თევზის ძვლები, უმი ხორცი
- შპალერები და პატარა ხალიჩები
- გამშრალი საღებავების/ლაქის ნარჩენები
- დახეული ქსოვილები და ფეხსაცმელები, ტყავის/ ხელოვნური ტყავის ნივთები
- ველოსიპედის/პატარა საბურავები

არ ჩაყაროთ: ✗

- ძველი ელექტრო ხელსაწყოები, LED-/ენერგო დამზოგავი ნათურები, ფლუორესცენტული მილები,
- აკუმულატორები/ბატარეები
- დიდი მოცულობის ნაგავი/ ძველი ხის ნივთები (ბინიდან)
- ბინის ჯართი

ორგანული ნარჩენების ურნა

- სურსათისა და სამზარეულოს ნარჩენები
- ვადაგასული ან გაფუჭებული სურსათი (შესაფუთის გარეშე)
- ყავის, ჩაის ნალექი (ქაღალდის ფილტრით/ქისით)
- სახლის და ბაღის მცენარეული ნარჩენები: დამჭკნარი ყვავილები, ქოთნის მცენარეები, მცირე რაოდენობით ყვავილების მიწა, ფოთლები, გაზონის ნაკრეჭი, დანაწევრებული ტოტები
- პატარა ცხოველების განავალი მცენარეული საფენებით: ნახერხი და თივა
- სამზარეულოს ქაღალდით შეწოვილი, მცირე რაოდენობის სამზარეულოს ქონები/ზეთები

რჩევები და მითითებები:

სველი ორგანული ნარჩენები სამზარეულოს ხელსახოცებში ან ქაღალდის გაზეთში შეფუთეთ. ამით სუნს შეამცირებთ და ნარჩენები კონტეინერზე აღარ მიეყინება.

არ ჩაყაროთ: ✗

- ნაგვის ცელოფნის პარკები/ შესაფუთი ცელოფნები, კომპოსტირებადი ორგანული პლასტმასი
- ცხვირსახოცები, პამპერსები
- ძვლები, მათ შორის, თევზის ძვლები, უმი ხორცი
- კატების ჰიგიენური ქვიშა

ყვითელი ურნა/ ყვითელი პარკი

- პლასტმასის ცარიელი სათავსოები: შამპუნის/ სარეცხი საშუალებების ბოთლები, იოგურტის/ მდოგვის ქილები, საღებავების ვედროები, ცელოფნის პარკები, მცენარეების პალეტები, ტუბები, კრემის ქოთნები
- ლითონის ცარიელი სათავსოები: კონსერვების/ საღებავების/აეროზოლის ქილები, ბოთლის თავსახურები, ალუმინის გარსები /ფოლგები/ თავსახურები
- სხვადასხვა შეერთებული მასალებით დამზადებული საფუთები: სასმელის ყუთები, სუპის პარკები, ყავის ვაკუუმური საფუთები, ტაბლეტების ფოლგის ბლისტერები
- საფუთი მასალები: სტიროქაფის ფორმები და ბურთულები, ბუშტულებიანი ცელოფანი

რჩევები და მითითებები:

პლასტმასის/ლითონის პროდუქტებს მუნიციპალურ გადამუშავების პუნქტებში ჩააბარებთ (მანქანის ჯართს არ იბარებენ).

არ ჩაყაროთ: ✗

- პლასტმასის/ლითონის პროდუქტები: გასაღებები, პლასტმასის სათავსოები, სარწყავები, პლასტმასის ქოთნები, დანა-ჩანგალი, საცერები
- აეროზოლის ქილები შიგთავსით, PUR-სამონტაჟო ქაფის ქილები
- მაკულატურა, საფუთი შუშა

რა ჩავაგდოთ რომელ კონტეინერში?

ლურჯი ურნა

- გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები, წიგნები
- საწერი/ხატვის/საოფისე ქაღალდი
- კრეპის/შესაფუთი/სასაჩუქრე ქაღალდი
- დანაწევრებული მუყაო და ყუთები

რჩევები და მითითებები:

ჩაგდებამდე მუყაო და ყუთები დაანაწევრეთ. ამგვარად ურნაში მეტი ჩაეტევა. დიდი მოცულობის მუყაოს მუნიციპალური გადამუშავების ცენტრებში ჩააბარებთ.

არ ჩაყაროთ: ✗

- ცხიმიანი ან ფენოვანი მაკულატურა: საცხობი/ სენდვიჩის ქაღალდი, პიცის ყუთები
- სასმელების, ყუთები, წვნიანის პარკები
- ქაღალდის ცხვირსახოცები/ სამზარეულოს ხელსახოცები
- ფოტოები, პლაკატები, შპალერი

მაკულატურა

- გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები, წიგნები
- საწერი/სახატავი/საოფისე ქაღალდი
- კრეპის/შესაფუთი/სასაჩუქრე ქაღალდი
- დანაწევრებული მუყაო და ყუთები

რჩევები და მითითებები:

ჩაგდებამდე მუყაო და ყუთები დაანაწევრეთ. ამგვარად კონტეინერში მეტი ჩაეტევა. დიდი მოცულობის მუყაოს მუნიციპალური გადამუშავების ცენტრები იბარებენ.

არ ჩაყაროთ: ✗

- ცხიმიანი ან ალუმინის და/ ან პლასტმასის ფენოვანი მაკულატურა: საცხობი/ სენდვიჩის ქაღალდი, პიცის ყუთები
- სასმელების მუყაო, წვნიანების პარკები
- ქაღალდის ცხვირსახოცები/ სამზარეულოს ხელსახოცები
- ფოტოები, პლაკატები, შპალერი

შუშის სათავსოები



- ცარიელი შუშის ბოთლები: სასმელების, ზეთის, ძმრის, სოუსების, სუნამოების
- ხილის, ბოსტნეულის, მურაბების, პურზე წასასმელების, მდოგვის, ბულიონის ცარიელი კონსერვების ქილები

რჩევები და მითითებები:

არსებობს მწვანე, ყავისფერი და თეთრი შუშის კონტეინერები. დანარჩენი ფერების შუშა მწვანე შუშის კონტეინერში იყრება.

გამოყენების დრო: ორშაბათი - შაბათი 7 - 20 საათებში.

დიდი მოცულობის შუშა, აგრეთვე მინის და კერამიკული ნივთები ნარჩენების ურნაში იყრება.

არ ჩაყაროთ: ✗

- შუშის პროდუქტები: შუშის ჩაიდნები, ჭიქები, ვაზები
- ფაიფური, კერამიკა, თიხა
- ბროლის/სარკის/ფანჯრის შუშა
- ნათურები, LED-/ენერგო დამზოგავი ნათურები, ფლუორესცენტული მილები